**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის**

**დადგენილება №13**

**2018 წლის 23 მაისი**

**ქ. ბათუმი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აჭარის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №55 დადგენილებაში (სსმ, №165, 17/12/2010) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სააგენტოს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 168 საშტატო ერთეულით.“;

ბ) დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის სატყეო სააგენტოს დებულების“ (დანართი №1) მე-11 მუხლის:

ბ.ა)

მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ადმინისტრაციული სამსახურის უფლებამოსილებაა:

ა) სატყეო დარგის შემდგომი განვითარებისათვის სამართლებრივი, ნორმატიულ-მეთოდური და ეკონომიკური ბაზის შექმნაში მონაწილეობა;

ბ) სააგენტოს საქმიანობის კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოსა და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა მიერ გაწეული მუშაობის ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება;

გ) განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირება;

დ) ერთიანი საქმისწარმოების ორგანიზება;

ე) სააგენტოსა და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა კანონმდებლობით დადგენილი წესით დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების (გადაყვანის) გათავისუფლების, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებისა და წახალისების, შვებულებისა და მივლინების შესახებ წინადადებებისა და სააგენტოს უფროსის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

ვ) სააგენტოსა და ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოება;

ზ) სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, წარმომადგენლობა სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებში;

თ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან სააგენტოს ურთიერთობის ხელშეწყობა;

ი) საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად;

კ) სატყეო სააგენტოს ბალანსზე რიცხული მანქანა-მექანიზმების აღრიცხვა-მოვლის და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო საწვავ-საპოხი მასალებით უზრუნველყოფა, საწვავის ხარჯვის კონტროლი და აღრიცხვა. სააგენტოს მექანიზატორებსა და დამხმარე მოსამსახურეებზე პერიოდულად

ტექნიკური უსაფრთხოების წესების გაცნობა;

ლ) სააგენტოს და ტერიტორიული ადმინისტრაციების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების აღრიცხვა.“.

ბ.ბ) $6^1$ პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 ივნისიდან.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**მთავრობის თავმჯდომარე** **ზურაბ პატარაძე**